



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “მბელაძე საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 74909/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 24 ივლისი

საკოლოლო განლა: 24/10/2007

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას

საქმეზე მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია), შემდეგი შემადგენლობით:

ქ-ნი ფ. ტულკენსი, თავმჯდომარე

ბატონები: ი. კაბრალ ბარეტო

რ. ტურმენი

მ. უგრეხელიძე

ვ. ზაგრებელსკი

ქ-ნი ა. მულარონი

ბ-ნი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები,

და ქ-ნი ს. დოლე - სექციის განმწესრიგებელი

2007 წ. 3 ივლისის განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის ბ-ნ შალვა მგელაძის (შემდგომში „მომჩივანი“) მიერ 2000 წ. 4 მაისს ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (74909/01).

2. ევროპულ სასამართლოში მომჩივანს თბილისში მოქმედი ადვოკატი ბატონი ვ. კაკაბაძე ხოლო საქართველოს მთავრობას (შემდგომში “მთავრობა”) – ქ-ნი ე. გურუშიძე, ევროპულ სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელი წარმოადგენდნენ.

3. მომჩივანი ძირითადად ჩიოდა, რომ მისი დისშვილის წინააღმდეგ წარმოებული დავის განხილვის პროცესში დაირღვა მისი სამართლიანი სასამართლო განხილვისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება.

4. 2004 წ. 31 აგვისტოს მთავრობას რეგლამენტის 54-ე (§2, ბ) მუხლის შესაბამისად ეცნობა განმცხადებლის კონვენციის მე-6 (§1) და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე პრეტენზიებთან დაკავშირებით.

იმავე დღეს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე საჩივარის დაშვებადობისა და არსებითი მხარის თანადროული განხილვის შესახებ. (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

5. როგორც მომჩივანმა და ისე მთავრობამ წარმოადგინეს წერილობითი მიმოხილვები საქმის დაშვებადობისა და არსებითი მხარის შესახებ. (სასამართლოს რეგლამენტის 54-ე მუხლი). ფაქტები I. საქმის გარემოებები

6. მომჩივანი ბ-ნი შალვა მგელაძე დაიბადა 1933 წელს და ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

7. პირველ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ იგი თბილისში, დედასთან ერთად მშობლების საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობდა. განმცხადებლის თქმით, 1975 წელს დედამისმა თავისი ორი გაუთხოვარი დის თხოვნით გაყიდა ეს ბინა და გაუთან ერთად საცხოვრებლად მათთან გადავიდა.

8. განმცხადებლის ერთ-ერთი დეიდა (შემდგომში „დეიდა“) 1963 წლიდან იყო ბინათმშენებლობის კოოპერატივის წევრი (შემდგომში „კოოპერატივი“) და ფლობდა საცხოვრებელ ბინას (შემდგომში „ბინა“), რომლის მშენებლობის ღირებულებას (შემდგომში „შესატანი“) იგი აღნიშნულ კოოპერატივს უხდიდა. განმცხადებლის დეიამ, დებთან ბინაში საცხოვრებლად გადასვლისას, განმცხადებლის მტკიცებით, გაყიდული ბინის ღირებულების მესამედი გადაიხადა ბინის მშენებლობისათვის კუთვნილი საპაიო გადასახადის გადახდაში მონაწილეობა რომ მიეღო. მანამდე მან უარი საჩივარა თავის წილ მემკვიდრეობაზე საკუთარი დის, განმცხადებლის დეიდის სასარგებლოდ, რათა მას სოფელში მამისეული სახლის გაყიდვით მიღებული თანხით შეძლებოდა კოოპერატივში შესვლისათვის საჭირო შენატანის გადახდა.

9. მომჩივანმა წარმოადგინა არაერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ზემოხსენებული სოფლის სახლი 1962 წელს გაიყიდა, ხოლო 1963 წ. 4 აპრილს დეიდა კოოპერატივის წევრი გახდა.

10. 1975 წ. 2 აგვისტოს ოქმის თანახმად, კოოპერატივის გამგეობის საბჭომ მომჩივანსა და მის დედას კოოპერატივის ბინაში ცხოვრების უფლება მისცა. ამ ნებართვის შემდეგ განმცხადებლისა და დედამისის ზემოაღნიშნულ კოოპერატიული ბინის მისამართზე რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ.

11. მომჩივანი ამტკიცებს, რომ იცხოვრა რა 22 წელი ზემოხსენებულ საცხოვრებელ ბინაში ხელფასის ნახევრით მას შეჰქონდა თავისი წილი შესატანისა თუ სხვა სახის გადასახადების გადახდაში.

12. 1987 წელს გარდაიცვალა ერთ-ერთი დეიდა, რომელიც არ იყო კოოპერატივის წევრი.

13. კოოპერატივის მიერ 1993 წ. 8 მაისს გაცემული ცნობით (“ფორმა №1”) დასტურდება, რომ მომჩივანი დედასთან ერთად აღნიშნულ კოოპერატიულ ბინაში ცხოვრობდნენ და დეიდის “ოჯახის წევრების” სტატუსი ჰქონდათ.

14. შესატანის მთლიანად დაფარვის შემდეგ, 1993 წ. 18 მაისს დეიამ გააფორმა ხელშეკრულება კოოპერატივთან ბინის პრივატიზების შესახებ და იმავე დღეს დაამოწმებინა იგი ნოტარიუსს.

15. 1993 წ. 10 ივლისს დეიამ სხვა ნოტარიუსთან გააფორმა ანდერძი, რომლის თანახმადაც, მისი გარდაცვალების შემდეგ პრივატიზებული ბინა გადაეცემოდა განმცხადებლის დის ქალიშვილს.

16. 1995 წელს გარდაიცვალა განმცხადებლის დედა, 1996 წ. მაისის თვის ბოლოს განმცხადებლის დამ და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, რომ დეიდა თავისთან გადაეყვანათ.

17. 1996 წ. 1 აპრილს მომჩივანმა მისცა დისშვილს ბინაში ჩაწერის ნება. მართლაც, 1996 წ. 20 აგვისტოს გაცემული ფორმა №1 ადასტურებს, რომ ბინაში ჩაწერილი იყვნენ მომჩივანი და მისი დისშვილი.

18. 1996 წ. 5 აპრილს დეიდა საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს, 1996 წ. 9 აპრილს, მომჩივანმა დაკარგა თავისი ბინის გასაღები. მან სთხოვა დას, რომ ეთხოვებინა მეორე გასაღები, რაზეც უარი მიიღო.

19. 1996 წ. 5 აგვისტოს, მომჩივანმა თავისი დისშვილის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. იგი ითხოვდა 1993 წ. 18 მაისის პრივატიზაციის

ხელშეკრულებისა და 1993 წ. 10 ივლისის ანდერძის უკანონოდ ცნობას, საცხოვრებელი ბინის ნახევარ ნაწილთან მიმართებით. იგი თავის წილ ქონებაზე მისი, როგორც მესაკუთრის უფლებების აღდგენას ითხოვდა.

20. გარდა ამისა, მომჩივანი მოითხოვდა სადავო ბინაზე ყადაღის დადებასა და სასამართლო პროცესის დასრულებამდე მოწინააღმდეგე მხარისათვის ბინით სარგებლობის უფლების აკრძალვას. 1996 წ. 29 აგვისტოს თბილისის ვაკე-საბურთალოს პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, მაგრამ 1996 წ. 29 ნოემბერს მან გააუქმა წინა გადაწყვეტილება და განმცხადებლის დისშივლს, როგორც მემკვიდრეს, გასხვისების უფლების გარეშე მისცა ქონებით სრულად სარგებლობის უფლება.

21. 1998 წ. 3 ნოემბერს, იმავე სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. მომჩივანი ირწმუნება, რომ იგი არასოდეს ყოფილა გამოძახებული.

22. 1998 წ. 30 ნოემბერს მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა ყადაღის გაუქმების ფაქტი. იგი ითხოვდა, რომ 1996 წ. 29 აგვისტოს გადაწყვეტილება პირვანდელი სახით აღდგენილიყო.

23. ეს საჩივარი, რომელიც განსახილველად გადაეცა მოსამართლე გ. თ. – ს, დაიკარგა. 1998 წ. 16 დეკემბერს მომჩივანმა დაარეგისტრირა მისი ასლი სასამართლოს კანცელარიაში.

24. აღნიშნული საჩივრის სფუძველზე, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა 1996 წ. 29 ნოემბრის სასამართლო დადგენილებას და აყენებდა ახალი გადაწყვეტილების მიღების საკითხს, სასამართლოს თავმჯდომარემ შეცდომით წარუდგინა იმავე სასამართლოს პრეზიდიუმს, როგორც პროტესტი 1998 წ. 3 ნოემბრის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ. სასამართლოს თავმჯდომარისთვის ეს საჩივარი მოამზადა ბატონმა გ.თ.-მ.

25. 1999 წ. 21 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სასამართლოს თავმჯდომარის თხოვნა და გააუქმა 1998 წ. 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.

26. პირველ ინსტანციაში ახალი პროცესის დროს, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დეიდასა და კოოპერატივის შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება უკანონო იყო, რადგანაც იგი არღვევდა მინისტრთა საბჭოს 1992 წ. 1 თებერვლის №107 დადგენილებას, („1992 წ. დადგენილება“) და დადებული იყო ოჯახის სხვა სრულწლოვან წევრებთან (თავად მასთან და მის დედასთან) შეუთანხმებლად. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ბინის შესატანი დაფარული იქნა მისი და დედამისის მონაწილეობით და დეიდას არ ჰქონდა ქონების სრულად და ერთპიროვნულად განკარგვის უფლება. კოოპერატივის საკუთრებაზე თანაბარუფლებიანობის პრინციპის შესაბამისად, დედისა და დეიდების გარდაცვალების შემდეგ, იგი გახლდათ ბინის ნახევარი წილის მესაკუთრე და დეიდას უფლება არ ჰქონდა, თავის მემკვიდრეობად მიეჩნია საერთო ქონების ეს ნაწილი. მომჩივანი აგრეთვე მოითხოვდა ბინაში დარჩენილი მისი მოძრავი ქონების, პირადი ნივთებისა და დისერტაციის დაბრუნებას.

27. დისშივლიმა საჩივარა, რომ 1975 წელს განმცხადებლის ბინაში ჩაწერის აქტი ფიქტიური იყო, რადგან დედამისის მიერ მშობლების სახლის გაყიდვის შემდეგ, (იხ. §7) მომჩივანს სურდა თბილისში მაცხოვრებელად ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო, განმცხადებლის დისშივლი მოითხოვდა თავისი

მემკვიდრეობის უფლების ცნობას მთელს უძრავ ქონებაზე. ამასთანავე, მან საჩივარა, რომ იგი ძმასთან ერთად ესწრებოდა ნოტარიუსთან ანდერძზე ხელმოწერის პროცედურას. ამის საპასუხოდ მომჩივანმა სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ როგორც ძველი, ისე ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ანდერძზე ხელმოწერის დროს დაინტერესებული პირების დასწრება იკრძალებოდა.

28. 1999 წ. 24 მარტს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. მან დაადგინა, რომ მომჩივანი რეალურად ცხოვრობდა ბინაში 1975–1980 წლებში და რომ პირადად იგი არასოდეს ყოფილა კოოპერატივის წევრი. მომჩივანს არ წარმოუდგენია თანხის გადახდაში მისი მონაწილეობის, არც დედამისის მიერ გაყიდული ბინის ღირებულების შესამედის დებისთვის გადარიცხვის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, მან ვერ დაასაბუთა აგრეთვე, რომ ადრე დედამისმა უარი თქვა თავის წილ მემკვიდრეობაზე დების სასარგებლოდ. განმცხადებლის მეორე მეუღლის მოსმენის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი ცხოვრობდა ამ უკანასკნელის ბინაში, ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე შესაბამისი ფორმა 1.

29. რაც შეეხება პრივატიზებისათვის საჭირო ოჯახის დანარჩენი სრულწლოვანი წევრების თანხმობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამის აუცილებლობა გაუქმებულია 1994 წ. 5 აგვისტოს დადგენილებით და ჩათვალია, რომ შესაბამისად, 1993 წ. 18 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა 1992 წ. დადგენილებას. ნოტარიუსმა დაუდასტურა სასამართლოს, რომ მან გააფორმა პრივატიზაციის ხელშეკრულება ოჯახის წევრების თანხმობის გარეშე იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელის სიტყვიერი განმარტების საფუძველზე, რომლის თანახმადაც საჭირო იყო მხოლოდ მეუღლის თანხმობა. ნოტარიუსი ამტკიცებს, რომ მან კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, იმოქმედა ვინაიდან 1993 წ. 18 მაისს დეიდამ მთლიანად დაფარა თანხა და ამასთან იგი ქორწინებაში არ იმყოფებოდა.

30. ზემოთმოყვანილ მტკიცებულებათა გათვალისწინებით და იმის გამო, რომ დეიდა კოოპერატივის წევრი და მშენებლობის ღირებულებისათვის განსაზღვრული შესატანი თანხის ერთადერთი გადამხდელი იყო, სასამართლომ დაადგინა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება და ნოტარიუსის შესაბამისი მოწმობა სრულიად კანონიერი იყო.

31. სასამართლომ დაადგინა, რომ ბინაში დარჩენილი მოძრავი ქონება და პირადი ნივთები (საწოლი ოთახის ავეჯი, ბუფეტი, ხალიჩა, ელექტროსაპარსი, ჭურჭელი და წიგნები), აგრეთვე სადოქტორო დისერტაცია დაბრუნებოდა მომჩივანს.

32. მხარეებმა გაასაჩივრეს აღნიშნული გადაწყვეტილება.

33. იმავედროულად მომჩივანმა საჩივარი შეიტანა იუსტიციის მინისტრის სახელზე 1993 წ. 18 მაისის სანოტარო მოქმედების განმახორციელებელი ნოტარიუსის წინააღმდეგ. 1999 წ. 15 ივნისს მისი გამოძახების შემდეგ მინისტრმა ნოტარიუსის საქმე გადაუზავნა ნოტარიუსთა კოლეგიას. 1999 წ. 16 ივლისს კოლეგიის დისციპლინარულმა კომისიამ საყვედური გამოუცხადა ნოტარიუსს ოჯახის დანარჩენი წევრების თანხმობის გარეშე ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების გამო.

34. 1999 წ. 29 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 1999 წ. 24 მარტის გადაწყვეტილება და საქმის ხელახალი განხილვის საფუძველზე უკანონოდ სცნო 1993 წ. 18 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულება, ისევე, როგორც 1993 წ. 10 ივლისის ნოტარიუსის მოწმობა, ვინაიდან ისინი ეხებოდა უძრავი ქონების ნახევარ ნაწილს. ბინაში დარჩენილ თივთებთან დაკავშირებით კი საქმე გადაგზავნილი იქნა ხელახალა განსახილველად.

35. სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება: მან ხაზი გაუსვა, რომ იმ დროს მოქმედი 1992 წ. ბრძანებულების მე-10 მუხლისა და მის გამოყენებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებული კომენტარების მე-8 მუხლის შესაბამისად, კოოპერატივის წევრს შეეძლო თავისი ბინის პრივატიზება მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავდა ბინის თანხას და მიიღებდა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობით თანხმობას. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან მოდავე მხარეები ოფიციალურად იყვნენ ჩაწერილები სადავო ბინაში, რასაც ადასტურებს 1993 წ. 8 მაისის ფორმა № 1, მომჩივანი და დედამისი, დეიდასთან ერთად, წარმოადგენდნენ ერთ ოჯახს და ჰქონდათ მისი ოჯახის წევრების სტატუსი. ამდენად, ქონების პრივატიზაციის დროს საჭირო იყო მათი წერილობითი თანხმობაც. მსგავსი თანხმობის არარსებობის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა (ახალი სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ ოჯახის სხვა წევრების გარდაცვალების შემდეგ დეიდა და მომჩივანი ფლობდნენ საკუთრების ერთნაირი უფლებას სადავო ბინაზე და დეიდას მესამე პირზე ქონების გასხვისების უფლება არ ჰქონდა.

36. განმცხადებლის დისშვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა ზემოხსენებული გადაწყვეტილება. საქმის არსებით მხარეზე პასუხის გაცემის პარალელურად, მომჩივანმა მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ ბატონ გ.თ. -ს აცილება იმ მოტივით, რომ ეს პიროვნება ადრე, 1998 წ. დეკემბერში მოსამართლედ ყოფნისას იცნობდა ამ საქმეს, (იხ. §§ 23 და 24). ბატონმა გ.თ.-მ დაადასტურა, რომ იგი ადრე ნამდვილად გაეცნო აღნიშნულ საქმეს, მაგრამ ახლა, როდესაც არ იყო მოსამართლე, მოქმედი კანონმდებლობა არ უკრძალავდა მას ადვოკატობას და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობას.

37. 1999 წ. 27 სექტემბერს, ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის აცილების მოთხოვნა. იმავე დღეს მან გააუქმა 1999 წ. 29 ივნისის გადაწყვეტილება საცხოვრებელი ბინის გასხვისების ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. ხოლო დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა პირად ნივთებს, ძალაში დატოვა. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია მიზეზები, რის გამოც მან გამოიყენა ახალი სამოქალაქო კოდექსი იმ დავასთან მიმართებით, რომელიც ამ კოდექსის ძალაში შესვლამდე მომხდარ ფაქტებს ეხებოდა, პრივატიზაციის უკანონოდ ცნობისას სააპელაციო სასამართლს არ დაუდგენია აგრეთვე მესაკუთრის ვინაობა.

38. განმცხადებლის მოთხოვნით, ბატონი გ.თ. ესწრებოდა მხოლოდ ერთ სხდომას. მან უარი თქვა შემდგომ პროცესში მონაწილეობაზე.

39. მომჩივანმა წარუდგინა სააპელაციო სასამართლოს იუსტიციის მინისტრის 1998 წ. 27 მარტისა და სახალხო დამცველის 1998 წ. 31 მარტის წერილები, რომელთა თანახმადაც 1994 წ. 5 აგვისტომდე, 1992 წ. დადგენილება მოითხოვდა ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობით თანხმობას ბინის პრივატიზაციასთან დაკავშირებით. მომჩივანმა აგრეთვე წარმოადგინა ნოტარიუსთა კოლეგიის წერილი (თარიღი არ იკითხება), რომელიც განმარტავდა თანხმობის საჭიროებას იუსტიციის სამინისტროს ზემოხსენებულ კომენტარებზე დაყრდნობით.

40. განმცხადებლის დისშვილმა მიუთითა საქმეზე თანდართულ დოკუმენტებზე, რათა დაემტკიცებინა, რომ მომჩივანს სადავო ბინაზე რაიმე უფლება არ ჰქონდა. კერძოდ, მან წარმოადგინა 1965 წ. 15 თებერვლის ქვითარი, რომელიც ადასტურებდა დეიდის მიერ კოოპერატივისათვის 3.648 საბჭოთა რუბლის გადახდას. ამასთან 55 სხვა საბანკო ქვითრის მიხედვით დასტურდებოდა იმავე პიროვნების მიერ მშენებლობის ღირებულებისათვის საჭირო თანხის გადახდის ფაქტები. განმცხადებლის დისშვილმა ამასთანავე საჩივარა, რომ 1982 წელს მისი ბიძა ხელმეორედ დაქორწინდა და 1986 წელს საბოლოოდ დატოვა ბინა, რის დასამოწმებლადაც მოპასუხე დაეყრდნო მეზობლების ჩვენებებს. ამას გარდა, მან აღნიშნა, რომ განმცხადებლისათვის გადასაცემი პირადი ნივთები არ ინახებოდა ბინაში და ქვედა ინსტანციის სასამართლომ არც ამ ქონების არსებობა და არც ღირებულება არ დაუდგენია.

41. 2000 წ. 15 მარტს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. მან დაადგინა, რომ შესატანი მთლიად დაფარული იქნა დეიდის მიერ. მომჩივანს არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ის და მისი დედა მონაწილეობდნენ კოოპერატივისათვის ბინის მშენებლობისათვის საჭირო თანხის გადახდაში. ამგვარად, 1992 წ. დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად, დეიდამ მოიპოვა უფლება, ყოფილიყო ქონების ერთადერთი მესაკუთრე, თავისუფლად განეკარგა და მესამე პირისთვის გადაეცა იგი. ბინაში დარჩენილ ქონებასთან დაკავშირებული დავა სასამართლომ არ გადაჭრა, მიუთითა რა, რომ საქმის ეს ნაწილი დაუბრუნებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. (იხ. §34).

42. 2000 წ. 1 დეკემბერს, უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაადგინა რა რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იუსტიციის სამინისტროს კომენტარების მე-8 მუხლი, რომელიც 1992 წ. 1 თებერვლის დადგენილების განმარტებას წარმოადგენდა და ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობას მოითხოვდა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო თვით ამ დადგენილებაზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონედ. შესაბამისად, ინტერპრეტაცია, რომელიც ამ დადგენილების საფუძველზე მოახდინა სააპელაციო სასამართლომ სრულიად მართებული იყო.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

43. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წ. 1 თებერვლის დადგენილება

რეამბულა

„საქართველოს რესპუბლიკის (...) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის (...) მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს“:

მუხლი 1

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შედგავთიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას“

მუხლი 2

„1. პრივატიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი სახლი (ბინა).

2. (...) მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. საცხოვრებელი სახლი (ბინა) მათი სურვილისამებრ შეიძლება გადაეცეს მათ საერთო საკუთრებაში.

3. ოჯახში მცხოვრებ სრულწლოვან წევრთა თანხმობა სავალდებულოა დამოწმებული იყოს სანოტარო წესით“.

უკანასკნელი პუნქტი გაუქმებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 5 აგვისტოს №520 დადგენილებით.

მუხლი 10

„საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის წევრი, რომელმაც მთლიანად გადაიხადა საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ითვლება ბინის მესაკუთრედ, რის შესახებაც იღება ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მეპაიესა და გამგეობას შორის, რაც დასტურდება სანოტარო წესით (...)“.

მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 5 ივლისის 519 დადგენილებით საბინაო-სამშენებლო კოოპერაციების ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, სახელმწიფომ უარი საჩივარა საბჭოთა პერიოდში კოოპერაციებისადმი მიკუთვნებულ კრედიტებზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ბინების კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ კოოპერაციის იმ წევრებზე, რომელთაც სრულად არ ჰქონდათ გადახდილი ბინის მშენებლობისათვის განსაზღვრული შესატანი. მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 5 აგვისტოს ზემოთ მითითებული 520 დადგენილებით მე-10 მუხლი გაუქმებულ იქნა.

მუხლი 11

„საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით“.

44. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კომენტარები 1992 წ. 1 თებერვლის 107 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებით

მუხლი 2

„დადგენილების მეორე პუნქტის მიხედვით ოჯახის წევრად ითვლება დამჭირავებელთან ერთად მუდმივად მცხოვრები დამჭირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები, აგრეთვე სხვა ნათესავები და შრომის უუნარო კმაყოფაზე მყოფი პირები, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამჭირავებელთან და მასთან ერთად ეწევიან საერთო მეურნეობას.“

მუხლი 8

„დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც, მთლიანად გადაიხადა საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ითვლება ბინის მესაკუთრედ. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად მოქალაქე (მეპაიე) განცხადებით მიმართევს საბინაოსამშენებლო კოოპერატივის გამგეობას, განცხადებასთან ერთად წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ოჯახის სრულწლოვან წევრთა თანხმობებს. რის შემდეგაც კოოპერატივის გამგეობასა და მეპაიეს შორის იდება საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დადასტურდება სანოტარო წესით ...“

45. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში 1999 წ. 15 მაისს შევიდა

მუხლი 95

„სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ მოსამართლე, გამოძიებელი და პროკურორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პროცესში გამოდიან მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებად“.

მუხლი 412§2

„თუ საკასაციო სასამართლო განსხვავებული სამართლებრივი შეფასებების საფუძველზე აუქმებს გადაწყვეტილებას, იგი საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში მიუთითებს რა იმ ფაქტობრივ გარებობებს, რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა და ყველა იმ სხვა საპროცესო მოქმედებას, რაც უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ“.

46. 1980 წ. დებულება ადვოკატის შესახებ მოქმედი 2001 წ. 20 ივნისამდე

მუხლი 16

„ (...) ადვოკატს არა აქვს უფლება განახორციელოს დაცვის ფუნქცია, იმ პირისა, რომლის საქმესაც იგი მანამდე იცნობდა, როგორც მოსამართლე, პროკურორი, გამოძიებელი, მომკვლავი, ექსპერტი, სპეციალუსტი, თარჯიმანი ან მოწმე“

სამართალი

1. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

47. მომჩივანი ჩივის, რომ სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა 2000 წ. 15 მარტისა და 1 დეკემბრის გადაწყვეტილებების მიღებისას სრულიად უგულებელყვეს შიდა კანონმდებლობა, რომელიც ქვეყანაში მოქმედებდა პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის პერიოდში, ისევე, როგორც ის სამი ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სადავო ნოტარიულ აქტში არ იყო გათვლისწინებული 1992 წ. დადგენილების მოთხოვნები (იხ. ზემოთ §39). თვლის რა, რომ ამ სასამართლო ორგანოებმა

საშუალება მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს ესარგებლა ამ დადგენილების მცდარი ინტერპრეტაციით, მომჩივანი, ამას გარდა, ამტკიცებს, რომ 2000 წ. 15 მარტს სააკველაციო სასამართლომ დავის ხელახალი განხილვა თვითნებურად წარმართა იმ პუნქტების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენდა საქმის მისთვის გადაგზავნის საფუძველს. მომჩივანი ასევე აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის იმ ადვოკატის აცხადების მოთხოვნა, რომელიც მანმდე მოსამართლის სტატუსით გაეცნო მისი საქმის მასალებს. მე-6 მუხლის შესაბამისი დებულებები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი (...) განხილვის უფლება (...) სასამართლოს მიერ (...)”.

ა. დასაშვებობა

48. მთავრობა თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრეტენზიები უსაფუძვლოა.

49. მხარეთა ყველა არგუმენტის გათვალისწინებით სასამართლოს არ მიაჩნია, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზიები აშკარად უსაფუძვლოა ან რომ ისინი შეიცავს რაიმე სხვა პრობლემას საჩივარის დაშვების თვალსაზრისით. შესაბამისად, მართებულია მათი გამოცხადება დაშვებულად.

ბ. არსებითი მხარე

1. განმცხადებლის მოთხოვნების ფაქტობრივი განხილვის შესახებ

ა) მხარეთა არგუმენტები

50. მთავრობის მტკიცებით, ბინათმშენებლობის კოოპერატივებთან მიმართებით 1992 წ. დადგენილება არ ითხოვდა ოჯახის წევრების თანხმობას იმისათვის, რომ პირი, რომელმაც გადარიცხა შესატანი, გამხდარიყო ქონების მესაკუთრე. ამგვარი თანხმობა აუცილებელი იყო მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული ბინების პრივატიზაციის შემთხვევაში. მთავრობის აზრით, ეს მექანიზმი აბსოლუტურად ლოგიკური იყო იმის გათვალისწინებით, რომ კოოპერატივის ყოველი წევრი რეგულარულად იხდიდა თანხებს თავისი ბინის აშენების ხარჯების დაფარვისა და მისი საკუთრებაში მიღების მიზნით. მაშინ, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული ბინების მაცხოვრებლები იყვნენ უბრალოდ დამქირავებლები სახელმწიფოს წინაშე. აქედან გამომდინარე, კოოპერატივების შემთხვევაში პირი, რომელმაც შესატანს გადაიხადა, ხდებოდა მესაკუთრე, ხოლო დამქირავებლების ოჯახის წევრების თანხმობა აუცილებელი იყო ბინის ინდივიდუალური თუ კოლექტიური პრივატიზებისას.

51. მოცემულ საქმეში სადავო ბინა ეკუთვნოდა კოოპერატივს და შესაბამისი შესატანი სრულად იქნა გადახდილი განმცხადებლის დეიდის მიერ. ვინაიდან მომჩივანმა ვერ დაამტკიცა, რომ ის დედასთან ერთად მონაწილეობდა ამ თანხის გადახდაში, ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა სამართლიანად დაასკვნეს, რომ მომჩივანს არ ჰქონდა უფლება ეჭვქვეშ დაეყენებინა პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება. იუსტიციის სამინისტროს სადავო კომენტარებთან დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებს, რომ აქ საქმე არ ეხებოდა კანონის იმ ნორმებს, რომელთა გამოყენებაც ვვალეობდა ქვეყნის სასამართლო ორგანოებს. დასასარულ, მთავრობა ხაზს უსვამს, რომ განმცხადებლის არგუმენტები ყურადღებით იქნა განხილული შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.

52. საპასუხოდ, მომჩივანი სვამს კითხვას: რა მიზეზების საფუძველზე გააკეთა იუსტიციის სამინისტრომ ზემოთ მითითებული სადავო კომენტარები, თუ ისინი 1992 წ. დადგენილების გამოყენებისას არ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული. მომჩივანი გაკვირვებას გამოხატავს ასევე იმ განმარტებების გამო, რომელიც მითითებულია იუსტიციის სამინისტროს 1998 წ. 27 მარტის, რესპუბლიკის სახალხო დამცველის 1998 წ. 31 მარტის და ნოტარიუსთა პალატის წერილებში. მისთვის გაუგებარია, ნოტარიუსთა პალატამ რატომ გამოუცხადა ნოტარიუსს საყვედური მაშინ, როდესაც, მთავრობის მტკიცებით, მან სადავო სანოტარო მოქმედება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განახორციელა.

53. ამას გარდა. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან ქვეყნის სასამართლო ორგანოებს წარუდგინა დეიდების მიერ სოფელში მამისეული სახლის გაყიდვის დამადასტურებელი საბუთები და ამტკიცებდა, რომ სახლის გაყიდვისა და დეიდის მიერ კოოპერატივში გაწევრიანება ფაქტი ერთმანეთს ემთხვეოდა. იგი ხაზს უსვამს, რომ მან და დედამისმა, დეიდებთან გადასვლამდე, თბილისში თავიანთი ბინის გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილი შეიტანეს კოოპერატივის წილში.

ბ) სასამართლოს შეფასება

54. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ ბინაში ჩაწერის ინსტიტუტი საბჭოთა მმართველობის დროს მიღებული ის პრაქტიკა იყო, რომელიც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მინიჭებას არ განაპირობებდა. ამასთან, ასეთი უფლება იმ ეპოქაში თითქმის არ არსებობდა. ამას გარდა ბინაში ჩაწერილი მაცხოვრებლების თანხმობა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ პირს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია იმავე ბინის მისამართზე განხორციელებოდა. ფაქტობრივად, ერთ ბინაში ოფიციალურად ჩაწერილ პირებს სხვა ბინაში ცხოვრებისას ხელს არაფელი უშლიდა. 55. მოცემული საქმის მასალების მიხედვით, განმცხადებლის დეიდა იყო კოოპერატივის ერთადერთი წევრი და, შესაბამისად, ბინის მშენებლობისათვის შესატანი თანხის ოფიციალური გადამხდელი. ამ ფაქტს მომჩივანი არ ასაჩივრებს. ის აპროტესტებს ქვეყნის სასამართლო ორგანოების დასკვნებს, რომლის თანახმადაც დეიდა ერთადერთი პირია, რომელმაც სრულად გადაიხადა მთელი

წილი, რათა გამხდარიყო ქონების ერთადერთი მესაკუთრე და გადაეცა იგი მესამე პირისთვის.

56. სასამართლო მიუთითებს, რომ მესამე პირი, რომელსაც დეიდამ საცხოვრებელი ბინა ანდერძით გადასცა მისი დის, განმცხადებლის დედის, შვილიშვილი იყო. 1993 წ. 18 მაისს, პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში განმცხადებლის დედა ცოცხალი იყო და, როგორც ჩანს, სადავო ბინაში ცხოვრობდა. ამრიგად, თუ ვივარაუდებთ, რომ მან საკუთარი ბინის გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილით გადაიხადა შესატანი და უარი თქვა მემკვიდრეობის თავის წილზე დეიდის (საკუთარი დის) სასარგებლოდ (იხ. ზემოთ §§ 7 და 8), მას შეეძლო პირველ რიგში, მომჩივანზე ადრე, გაეწია წინააღმდეგობა იმისათვის, რომ დეიდა ქონების ერთადერთი მესაკუთრე გახდა. თუმცა, საქმის მასალებში არ ჩანს, რომ განმცხადებლის დედას გარდაცვალებამდე—1995 წლამდე, პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება სადავოდ გაეხადა და წინააღმდეგობა გაეწია იმ ფაქტისათვის რომ მის დას ბინა მთლიანად ეანდერძებინა მისი შვილიშვილისათვის მისივე ვაჟის, განმცხადებლის, საზიანოდ. თუმცა, მას შეეძლო გაეკეთებინა ეს 1992 წ. დადგენილების მე-11 მუხლზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ §43). ამ შემთხვევაში მომჩივანი სათანადოდ ვეღარ დაასაბუთებდა თავის საკუთრების უფლებას ბინის ერთ ნაწილზე იმ მოტივით, რომ დედამისმა, თითქოსდა, გადაიხადა შესატანი თანხის ნაწილი (იხ. ზემოთ §19).

57. რაც შეეხება შესატანი თანხის დაფარვაში საკუთრივ მის მონაწილეობას, მომჩივანმა, როგორც ქვეყნის სასამართლო ორგანოების წინაშე, ისე ამჟამადაც ვერ წარმოადგინა ამ არგუმენტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

58. სასამართლო მიუთითებს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს შორის იყო აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა კოოპერატივებისადმი კუთვნილი ბინების პრივატიზაციის შემთხვევაში ოჯახის ზრდასრული წევრების მხრიდან თანხმობის აუცილებლობის თაობაზე (იხ. ზემოთ §§ 33, 39, 41, 42 და 44). სასამართლოს ესმის, რომ მომჩივანმა დიდი იმედგაცრუება განიცადა სასამართლოს მიერ გაკეთებული 1992 წ. დადგენილების მე-10 მუხლის ინტერპრეტაციის გამო, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდებოდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციისაგან. მეორეს მხრივ, სასამართლოსთვის გაუგებარია ვაკის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც 1993 წ. 18 მაისის პრივატიზაცია, უკუქმედების ძალით, შეესაბამებოდა 1992 წ. დადგენილებას, 1994 წ. 5 აგვისტოს ზემოაღნიშნული მე-10 მუხლის გაუქმების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ § 43).

59. ამასთანავე, სასამართლოს მიაჩნია, რომ 1992 წ. დადგენილების პრეამბულასა და 1-ლი მუხლში საკმარისად ნათლად იყო განსაზღვრული ამ ტექსტის გამოყენების არე, უფრო კონკრეტულად კი, ოჯახის სრულწლოვან წევრთა თანხმობის აუცილებლობა, რაც აღნიშნულია დადგენილების მე-2 მუხლში. აქ ასევე ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ ეს აუცილებლობა ეხებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული ბინების პრივატიზაციას (იხ. ზემოთ §43). რაც შეეხება მე-10 მუხლს, ზემოთ ნახსენები დაპირისპირების მიზეზს, ეს მუხლი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე

საკუთრების უფლებას ანიჭებს საბინაო კოოპერატივების წევრებს, რომელთაც სრულად გადაიხადეს შესატანი. ამ მიზნით ოჯახის წევრების მხრიდან თანხმობის მოპოვების აუცილებლობაზე იქ არაფერია ნათქვამი.

60. ამ პირობებში სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ივარაუდოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მე-10 მუხლისათვის მიცემული ინტერპრეტაცია იქიდან გამომდინარეობდა, რომ კოოპერატიულ ბინებთან დაკავშირებული ეს დებულება ჩართული იყო იმ დადგენილებაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში არსებულ ბინებსა და მათ მობინადრეებს, სახელმწიფოს დამკირავებლებს. სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებმა ამ ბუნდოვანების განმარტებისას აღნიშნული დადგენილების ტერმინებს ლოგიკური ინტერპრეტაცია მისცეს, რომელიც, სასამართლოს აზრით, წინა მუხლში მითითებული მიზეზების გამო სრულებით არ არის საფუძველს მოკლებული. ის ფაქტი, რომ ეს ინტერპრეტაცია განსხვავდება იმისაგან, რომელსაც მომჩივანი ისურვებდა, ვერ ჩაითვლება კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ.

61. ამ დებულების შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების უსაფუძვლობის შესახებ დასკვნის გამოტანამდე, ქვეყნის სასამართლო ორგანოებს განეხილათ განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული მტკიცებულებები და არგუმენტები, მათ შორის ისინი, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული პირი მონაწილეობდა შესატანის გადახდაში და რომ მისი თანხმობა აუცილებელი იყო ბინის პრივატიზებისათვის.

62. იმდენად, რამდენადაც ეს დასკვნა არც აშკარად მცდარია (შდრ. *a contrario*, *Donadze c. Géorgie*, NN 74644/01, §32, 2006 წ. 7 მარტი) და არც შეგნებულად დამახინჯებული, სასამართლოს არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც მეოთხე ინსტანციის ორგანომ, რათა თავად შეაფასოს ფაქტიური გარემოებები, რომელთა საფუძველზეც საკასაციო და უზენაესმა სასამართლოებმა მიიღეს სწორედ ეს და არა განსხვავებული გადაწყვეტილება (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Rotaru c. Roumanie* [GC], N 28341/95, § 53, CEDH 2000-V; *Kopp c. Suisse*, 1998 წ. 25 მარტის დადგენილება, გადაწყვეტილებათა და გადაწყვეტილებათა კრებული 1998-II, §59). წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაარღვევდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს (*Contal c. France*, (déc.) N 67603/01, 2000 წ. 3 სექტემბერი).

63. სხვათა შორის, საქმეში არ ჩანს, რომ მიღებული დასკვნისა (იხ. ზემოთ §61) და ბატონი გ.თ-ს აცხადებაზე უარის (იხ. ქვემოთ, 68-ე და შემდგომი პუნქტები) გარდა, მომჩივანი ადანაშაულებს ქვეყნის სასამართლო ორგანოებს, რომ მათ ჩააყენეს მოწინააღმდეგე მხარე აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში (*Dombo Beheer B.V. c. Pays-Bas*, 1993 წ. 27 ოქტომბრის დადგენილება, სერია A N 274, გვ.19, §33).

64. რაც შეეხება განმცხადებლის 2000 წ. 15 მარტის ჩვენებას, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ განიხილა საქმე *ultra petita*, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ მთლიანობაში გააუქმა წინა სააპელაციო დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ბინას უკავშირდებოდა. იგი მიუთითებს, რომ არც ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არც ამ კოდექსის არც ერთი დებულებით სააპელაციო

წესით საქმის ხელახალი განხილვა არ შემოიფარგლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი შეცდომების უბრალო გასწორებით (იხ. ზემოთ, § 37 და 45).

65. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ 2000 წ. 15 მარტსა და 1 დეკემბერს ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა ყურადღებით მოუსმინეს მომხივანს და შესაბამისად ასკვნის, რომ ამ საფუძველზე მის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

2. ბატონი გ. თ-ს მონაწილეობა პროცესში

ა) მხარეთა არგუმენტები

66. მთავრობა პირველ რიგში ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ადვოკატის აცილების შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში, უზენაეს სასამართლოს, მთავრობის აზრით, არ გააჩნდა არავითარი ობიექტური მიზეზი იმის საფიქრებლად, რომ ბატონი გ.თ-ს, როგორც ადვოკატის, მონაწილეობა პროცესში მიაყენებდა ზიანს მხარეთა თანასწორობის პრინციპს. იმ ფაქტს, რომ ეს პირი ადრე მოსამართლის რანგში მონაწილეობდა პროცესში და კარგად იცნობდა საქმეს, მთავრობის მტკიცებით, არ მოუხდენია გავლენა მოსამართლეებზე, რომელთაც 1999 წ. 27 სექტემბერს გამოიტანეს განმცხადებლისთვის მიუღებელი დადგენილება.

67. მომხივანი არ ეთანხმება ამ არგუმენტს და მიაჩნია, რომ ბატონი გ.თ-ს მონაწილეობამ პროცესში მოწინააღმდეგესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.

ბ) სასამართლოს შეფასება

68. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ბატონი გ. თ-ს მონაწილეობა პროცესში ეწინააღმდეგებოდა მოვლენების მიმდინარეობის პერიოდში მოქმედ დებულებას ადვოკატის შესახებ (იხ. ზემოთ §46). სასამართლოს აზრით, ამ მონაწილეობამ წარმოშვა მნიშვნელოვანი დეონტოლოგიური პრობლემა. ამასთანავე, მისი აზრით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მონდომების ნაკლებობისა და იმ პროფესიული შეცდომის გათვალისწინებით, რომელიც 1998 წელს ბატონმა გ. თ-მ დაუშვა განმცხადებლის ინტერესების საზიანოდ (იხ. ზემოთ, § 23 და 24), 1999 წ. 27 სექტემბრის სხდომაზე მისი მონაწილეობა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იყო და განმცხადებლისთვის წარმოადგენდა შფოთვის მიზეზს. სასამართლო სინანულს გამოთქვამს, რომ უთხრა რა უარი მომხივანს მოთხოვნაზე აცილების შესახებ, უზენაეს სასამართლოს არ წამოუყენებია არავითარი არგუმენტი თავისი უარის დასაბუთებისთვის და არ დაუსახელებია მიზეზი, რომლის გამოც, მისი აზრით, ბატონი გ. თ-ს მონაწილეობა ზიანს არ მიაყენებდა პროცესის სამართლიანობას. ამასთანავე, თავის გადაწყვეტილებაში უზენაეს სასამართლოს არავითარი

მინიშნება არ გაუკეთებია დებულებაზე ადვოკატის შესახებ. ამას გარდა, შემოიფარგლა რა იმის მტკიცებით, რომ ეყრდნობოდა ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლს, უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა, ნიშნავდა თუ არა ის ფაქტი, რომ ბატონი გ. თ აღარ ასრულებდა მოსამართლის ფუნქციებს იმას, რომ იგი აღარ ითვლებოდა არც მაგისტრატად ამ დებულების მნიშვნელობით (იხ. ზემოთ §37).

69. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის ამ პრეტენზიაზე გადაწყვეტილების გამოსატანად, მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, ატარებდა თუ არა განსახილველი პროცედურა მთლიანობაში სამართლიან ხასიათს (იხ. სხვა წყაროებს შორის, *De Lorenzo c. Italie (déc)*, NN 69264/01, 2004 წ. 12 თებერვალი). ამ თვალსაზრისით, იგი პირველ რიგში აღნიშნავს, რომ თავად განმცხადებლის სიტყვებით, ბატონი გ. თ ერთადერთ სხდომაზე წარსდგა უზენაესი სასამართლოს წინაშე, შემდეგ კი უარი განაცხდა მოწინააღმდეგე მხარის დაცვაზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 38). ამრიგად, ბატონი გ. თ-ს როლი მთლიანად სადავო პროცედურაში ძალიან შეზღუდული იყო. ამასთანავე, საქმის საკასაციო წესით განხილვით, რომელშიც ბატონი გ. თ მონაწილეობდა, პროცედურა არ დასრულებულა. იქ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმის დაბრუნების, განმცხადებლის საჩივრის არსებითი განხილვისა და საკასაციო წესით ხელახალი განხილვის შესახებ.

70. ამ დასკვნის გარდა, სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ბატონი გ. თ ასრულებდა ადვოკატის ფუნქციას მას შემდეგ, რაც გაეცნო საქმეს, როგორც მოსამართლე. ამრიგად, მოცემულ საქმეში საუბარია არა იმაზე, რომ შეფასდეს იმ მოსამართლის მიუკერძოებლობა, რომელმაც ადრე დაიცვა მოწინააღმდეგე მხარე ადვოკატის რანგში, არამედ გაირკვეს, სხდომაში იმ ადვოკატის მონაწილეობამ, რომელმაც წინასწარ განიხილა საქმე, როგორც მოსამართლემ, მიაყენა თუ არ ზიანი პროცესის სამართლიანობას (შდრ. *a contrario, Mežnaric c. Croatie*, N N 71615, §§ 34-36, 2005 წ. 15 ივლისი). ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თუ ბატონი გ. თ წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს სადავო სხდომაზე, საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ინარჩუნებდა თავისუფალი არბიტრის როლს, რათა გადაეწყვიტა დავა და ემოქმედა როგორც მხარეთა შორის თანასწორობის გარანტს. მომჩივანს, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე განსაკუთრებით აკრიტიკებს 2000 წ. 15 მარტისა და 1 დეკემბრის გადაწყვეტილებებს, არც ერთხელ არ განუცხადებია, რომ 1999 წ. 27 სექტემბერს, საკასაციო სასამართლოს მოსამართლემ უპირატესობა მიანიჭა იმ არგუმენტს, რომელსაც იცავდა ბატონი გ. თ., მისი ყოფილი კოლეგა, ან რომ მან რაიმე სხვა სახით მიანიჭა უპირატესობა მოწინააღმდეგე მხარეს მის საზიანოდ.

71. ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბატონი გ. თ-ს მონაწილეობა სადავო პროცესში გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს, მას მთლიანობაში პროცედურისთვის ზიანი არ მიუყენებია.

72. შესაბამისად, ამ საფუძველზე კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას აღვილი არ ჰქონია.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

73. მომჩივანი თვლის, რომ ყადაღის დადების პროცედურის ჩარჩოებში, ისევე, როგორც დავის არსებითი განხილვისას ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა ვერ დაიცვეს მისი კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ეს დებულება შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

“1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად”.

1. მხართა არგუმენტები

74. მთავრობას მიაჩნია, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზია დაუსაბუთებელია. პირველ რიგში ის აღნიშნავს, რომ მომჩივანი არასდროს ყოფილა სადავო ბინის მესაკუთრე. ამას გარდა, იგი ხაზს უსვამს, რომ ვაკის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს მონაცემებით, მომჩივანი ცხოვრობდა მეორე მეუღლის ბინაში (იხ. *in fine* ზემოთ, §28).

75. საპასუხოდ მომჩივანი განმარტავს, რომ საცხოვრებელი არ ნიშნავს ბინას, რომლის მესაკუთრეც არის ადამიანი, არამედ ადგილს, სადაც იგი ცხოვრობს. ის ამტკიცებს, რომ სადავო ბინა წარმოადგენდა მის საცხოვრებელს 22 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მისი თანხმობა არ იქნებოდა აუცილებელი მისი დისშვილის ჩაწერაზე იმავე ბინაში (იხ. ზემოთ, §17). ამას გარდა, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მას არასდროს უცხოვრია მეორე მეუღლის ბინაში. ამასთანავე იგი ჩივის, რომ დღემდე არ მიუწვდება ხელი თავის პირად ნივთებზე, წიგნებსა და ავეჯზე.

76. სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის ფარგლებში, მომჩივანმა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გასამყარებლად ახალი არგუმენტი წარმოადგინა. ის ამტკიცებდა, რომ სადავო ბინიდან მისი გამოსახლების შემდეგ იგი იძულებული იყო ექირაებინა ბინა 1996 წ. აპრილიდან 2004 წ. დეკემბრამდე. ამის დასტურად მან წარმოადგინა ბინის მეპატრონის წერილი, რომელშიც იგი ვადების მიუთითებლად აცხადებს, რომ თავისი ბინის ერთი ოთახი მიაქირავა მომჩივანს.

77. მთავრობამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის თანახმადაც აღნიშნული მეპატრონეს საგადასახადო სამსახურები არ იცნობენ. ყოველ შემთხვევაში, მომჩივანმა, მთავრობის მტკიცებით, დაიქირავა აღნიშნული ოთახი იქ კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად და არა საცხოვრებლად. 78. რაც შეეხება განმცხადებლის პირად ნივთებს, მთავრობა ამტკიცებს, რომ 1999 წ. 27

სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მათი დაბრუნების შესახებ.

3. სასამართლოს შეფასება

79. სასამართლო თავიდანვე მიუთითებს, რომ მას შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ 1999 წ. 20 მაისის, საქართველოსთან მიმართებაში კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის, შემდგომ მომხდარ მოვლენებზე. ამრიგად, ყადაღის დადების პროცედურა (იხ. ზემოთ §§20-25) სრულიად სცილდება რაციონე ტემპორის სასამართლოს კომპეტენციას. შესაბამისად, მართებულია საჩივრის ეს ნაწილი გამოცხადდეს დაუშვებლად კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

80. რამდენადაც საჩივრის დარჩენილი ნაწილი ეხება ქვეყნის სასამართლო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დავის არსებით მხარეზე, სასამართლო მიუთითებს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საცხოვრებლის“ ცნება მე-8 მუხლის მნიშვნელობით არ შემოიფარგლება მხოლოდ ადგილით, რომელიც კანონიერად არის დაკავებული ან დადგენილი, არამედ საქმე ეხება ავტონომიურ ცნებას, რომელიც არ არის დამოკიდებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ინტერპრეტაციაზე. იმ საკითხის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა ცალკეული ბინა მე-8 მუხლის დაცვის სფეროს მიკუთვნებულ „საცხოვრებელს“, დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, განსაზღვრულ ადგილთან საკმარისი და ხანგრძლივი კავშირის არსებობაზე (Buckley c. RoyaumeUni, 1996 წ. 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, კრებული 1996-IV, გვ. 1287- 1288, §§ 52-54; Prokopovitch c. Russie, NN 58255/00, § 36, CEDH 2004- XI (ამონარიდები).

81. მოცემულ საქმეში მომჩივანი ამტკიცებს, რომ სადავო ბინა წარმოადგენდა მის საცხოვრებელს 1975-დან 1996 წლამდე. მისი მტკიცებით, იგი ბინიდან იძულებით იქნა გამოსახლებული დისა და დისშვილის მიერ 1996 წელს. ამ არგუმენტის დასადასტურებლად მომჩივანს არ წარმოუდგენია არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ის ნამდვილად ცხოვრობდა ამ ბინაში აღნიშნული დროის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, დაადასტურებდა იმას, რომ მას ჰქონდა ამ ბინასთან საკმარისად მჭიდრო და უწყვეტი კავშირი 1993 წელს, პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის, ისევე, როგორც შემდგომ 1996 წლამდე. საქმეში არ ფიგურირებს არავითარი ანგარიში ან ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მომჩივანი მონაწილეობდა უძრავი ქონების შეძენაში, სხვადასხვა, ე.წ. „კომუნალური“ გადასახადის გადახდაში (წყალი, გაზი, ელქტროენერგია და ა.შ.) ან კიდევ ბინის მოვლის ხარჯებში (შდრ. a contrario, ზემოთ მითითებული წყარო Prokopovitch, §37). ასეთი დოკუმენტების საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, თუ რეალურად რამდენ ხანს ეკავა ეს ბინა მომჩივანს. ამას გარდა, მომჩივანს არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ იგი პირად კორესპონდენციას ღებულობდა ამ ბინის მისამართზე, არც მეზობლებისა და ახლობლების მოწმობა, რომ იგი ნამდვილად ცხოვრობდა იქ 90-იან წლებში.

82. ამას გარდა, ქვეყნის სასამართლო ორგანოებს არ გამოუტანიათ დასკვნა, რომ ეს ასე იყო. პირიქით, ვაკის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლომ 1999 წ. 24 მარტს დაადგინა, რომ მომჩივანი ცხოვრობდა აღნიშნულ ბინაში 1975-დან 1980 წლამდე. განმცხადებლის მეორე მეუღლემ, რომელიც ამ სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგა, დაადასტურა, რომ აღნიშნული პირი ცხოვრობდა მის ბინაში (იხ. ზემოთ §28). განმცხადებლის დისშივლმა განუცხადა სასამართლოს, რომ მომჩივანმა მეორედ იქორწინა 1982 წელს და რომ მან საბოლოოდ დატოვა სადავო ბინა 1986 წელს (იხ. ზემოთ §40). მომჩივანს არც ქვეყნის სასამართლო ორგანოების, არც სასამართლოს წინაშე არ განუცხადებია, რომ ის და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ სადავო ბინაში მის დედასა და დეიდებთან ერთად. მას არ უხსენებია არც გაყრა ან განშორება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ 80-იან წლებში მეორე ქორწინების შემდეგ მომჩივანი მეუღლესთან ერთად სხვა ბინაში ცხოვრობდა. ამასთანავე, ვაკის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს თანახმად, შესაბამისი ფორმა 1 აჩვენებს, რომ მომჩივანი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ ერთად ამ უკანასკნელის ბინაში.

83. საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად მომჩივანს არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ოფიციალურად კვლავაც დეიდის ბინაში იყო რეგისტრირებული (იხ. ზემოთ §13) არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მას ამ ბინასთან კავშირი არ გაუწყვეტია 1993 წლამდე ბევრად ადრე.

84. რაც შეეხება ქირაობის დამადასტურებელ საბუთს, რომელიც მომჩივანმა წარმოადგინა სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის გასამყარებლად, სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ მას ჰქონდა ნაქირავეები ბინა 1996 წ. აპრილიდან 2004 წ. დეკემბერს შორის შუალედში ისე, რომ მეპატრონეს არ განუცხადებია ამ შემოსავალზე საგადასახადო სამსახურში (იხ. ზემოთ §77). თუმცა, სხვა შესაბამისი საბუთის არარსებობის პირობებში, სასამართლოს აზრით, ეს არ ამტკიცებს, რომ 1996 წ. აპრილამდე ანუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მომჩივანი ცხოვრობდა დეიდასთან და არ ჰქონდა სხვა საცხოვრებელი (იხ. ზემოთ §82).

85. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია საკმარისი მწკობრი დამამტკიცებელი საბუთები იმის დასადგენად, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში და შემდგომ მომჩივანს საკმარისად მჭიდრო და უწყვეტი კავშირი ჰქონდა ამ ბინასთან იმისათვის, რომ იგი განხილულ იქნეს, როგორც მისი „საცხოვრებელი“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.

86. აქედან გამომდინარე, განცხადების ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

III. კონვენციის მე-13, მე-14 და მე-17 მუხლების საგარეულო დარღვევა

87. შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე მომხივანი ამტკიცებს, რომ ქვეყნის სასამართლო ორგანოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-13, მე-14 და მე-17 მუხლებით გარანტირებული მისი უფლებები.

88. განმცხადებლის განმარტებების არქონის პირობებში, სასამართლომ საქმეში ვერ აღმოაჩინა ვერაფერი, რაც დაადასტურებდა, რომ განცხადებაში წამოჭრილი პრობლემები შედის აღნიშნული მუხლების სფეროში. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ განმცხადებლის ეს პრეტენზიები აშკარად დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ერთხმად:

1. აცხადებს დაშვებულად კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, საჩივარის დარჩენილ ნაწილს კი – დაუშვებლად;

2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე, წერილობითი სახით გამოქვეყნებულია 2007 წ. 24 ივლისის სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ფ. ტულკენსი
თავმჯდომარე

ს. დოლე
განმწესრიგებელი